ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7409694

ნომერი: AR11078944

თარიღი : 21.02.2025

გაცემის თარიღი : 13.03.2025

გაცნობის თარიღი : 20.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნიკოლოზ დგებუაძის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ხუცურაული პ/ნ 01026002112
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 9 ბ. 20ა

ორგანიზაცია:
- შპს ტრანში კოდი: 405078552

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 21 თებერვალს №AR11078944 განცხადებით მომართა ირაკლი ხუცურაულმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებით №01.10.18.010.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი და ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო) შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვა 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის ბიძინა ხუცურაულის ნაცვლად, ახალი მესაკუთრის შპს „ტრანშის“ (ს/ნ: 405078552) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №882025083939, მომზადების თარიღი: 29/01/2025 წ.) თანახმად, №01.10.18.010.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს, შპს „ტრანში“ (ს/ნ: 405078552).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25006907; მომზადების თარიღი: 23/01/2025წ.) შპს „ტრანშის“ (ს/ნ: 405078552) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ირაკლი ხუცურაული (პ/ნ: 01026002112). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობანაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით №01.10.18.010.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ტრანში“ (ს/ნ: 405078552), რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ირაკლი ხუცურაული (პ/ნ: 01026002112) თავად მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ტრანშის“ (ს/ნ: 405078552) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებაში და დამკვეთად ბიძინა ხუცურაულის (პ/ნ: 01026012035) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ტრანში“ (ს/ნ: 405078552).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 დეკემბრის №7318549 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge